



პიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი



მმართველობითი აღრიცხვა და მისი პირითაღი პრინციპები

ზურაბ ვაშაკიძე

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

რამაზ შაყულაშვილი

ემდ, თბილისის საერთაშორისო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ქვეყნის დამოუკიდებლობამ, ეკონომიკურმა რეფორმებმა დღის წესრიგში დააყენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც ემყარება ბრიტანულ-ამერიკულ ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებულ პრინციპებს, რომელიც აღიარებულია მონინავე ქვეყნების მიერ.

მმართველობითი აღრიცხვისთვის არსებობს ინფორმაციის მრავალი შიდა წყარო, სააღრიცხვო სისტემის საზღვრები ყოველთვის არ არის განსაზღვრული, განსაკუთრებით კი მმართველობით აღრიცხვაში. იგი ემყარება კონცეფციებს, რომლებიც წარმოადგენენ რეკომენდაციებისა და მეთოდების ერთიანობას, რომლის საშუალებითაც დგინდება სამეურნეო საშუალებების და მათი წარმოშობის წყაროების, აქტივებისა და პასივების, ანუ ვალდებულებების, მათი შეფასების კრიტერიუმების, საწარმოო პროცესებში გაწეული დანახარჯებისა და მის შედეგად მიღებული შემოსავლების, საფინანსო შედეგების, მათი განსაზღვრის მეთოდების

და ხერხების ერთობლიობა ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზისა და ინსტრუქციების საფუძველზე.

მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი ფუნქციონირების პრინციპია მმართველ აპარატს მიაწოდოს ინფორმაცია, როგორც ნატურალური, ასევე ფულადი საზომი ერთეულებით დროში უწყვეტად, ყოველი სამეურნეო საშუალების მოძრაობა საწარმოო პროცესებში, აგრეთვე საგარეო ურთიერთობის დროს წარმოშობილი ვალდებულებები და მოთხოვნები განიხილოს ორმხრივად, ორმაგი ჩანერის პრინციპის გამოყენებით. მოახდინოს წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა, ერთეული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება, რაც, თავის მხრივ, საფუძველს წარმოადგენს ფასწარმოქმნისათვის, რის შედეგადაც ხდება საფინანსო შედეგების განსაზღვრა.

მმართველობით აღრიცხვის საშუალებით ხდება საწარმოში არსებული საწარმოო სიმძლავრეების არსებობის, მიღების და გასვლის ოპერაციების აღრიცხვა, არსებული უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით მიღებისა და გადაცემის ოპერაციები, ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა, ძირითადი საშუალებების გადაფასება, რაც ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს საწარმოს სიმძლავრეების ღირებულებით ფორმაში მოსაყვანად. იჯარის ცნებისა და მისი გამოყენების დროს აუცილებელია ფულის დისკონტირებული ღირებულების განსაზღვრა და მისი გამოყენება, აგრეთვე საფინანსო და ოპერატიული იჯარის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მთავარი მიზანია ბიზნეს-გეგმის მიხედვით წარმოების უზრუნველყოფა საწარმოო სიმძლავრეებით, ხომ არ არის ჭარბი ან ტექნოლოგიური ციკლისთვის არა საჭირო ძირითადი საშუალებები, ე.ი. დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეები, რომლის ცვეთა და ქონების გადასახადი ხელოვნურად გააძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას და უარყოფითად იმოქმედებს საწარმოოს შედეგებზე.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა მმართველ აპარატს აწვდის ინფორმაციას თუ როგორ არის უზრუნველყოფილი წარმოება აუცილებელი საწარმო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციით, როგორებიცაა პატენტები, ლიცენზიები, საავტორო უფლებები,

სავაჭრო მარკა, გუდვილი ანუ საფირმო ფასი, ნოუ-ჰაუ ანუ ინტელექტუალური საკუთრება, კომპიუტერული პროგრამები და ა.შ.. აღნიშნული ინფორმაციის დახმარებით აუცილებელია მენეჯმენტის განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ბიზნეს-გეგმიდან გამომდინარე წარმოებაში არსებული არამატერიალური საშუალებები აკმაყოფილებს თუ არა წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას, ხომ არ არის ქარბი არამატერიალური აქტივები, ვინაიდან წარმოების დანახარჯებში ჩაირთვება.

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოებაში მიღებული იქნეს სხვადასხვა გზით. შეძენა-წარმოების საკუთარი ძალებით, საწარმოს წილობრივი მონაწილეობით, საწარმოთა გაერთიანებაში განვერიანების გზით და ა.შ.. არამატერიალური აქტივი შეიძლება გაიცვალოს აქციებზე ან სხვა ფასიან ქაღალდებზე.

არამატერიალური აქტივების საწყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს დამატებული მოსაკრებელი და გადასახადები. არამატერიალური აქტივები შეიძლება მიღებული იქნეს „ბარტერის“ სხვა აქტივებზე გაცვლის შედეგად, რომლის დროსაც შეფასდება აქტივების საბალანსო ღირებულებით. საწარმო შეიძლება ეწოდეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რომელიც ხორციელდება ახალი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის და თუ მისგან მაშინვე არ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, არამედ მიიღებს მომავალში, ასეთ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე განეული დანახარჯები არ კაპიტალიზირდება და არ ხდება აქტივების აღიარება, არამედ, იგი მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მიეკუთვნება: კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო აღმოჩენების გამოყენების, მასალების და მოწყობილობების გამოყენების ალტერნატიული გზების ძიება, დიზაინის შერჩევა, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების და ა.შ..

არამატერიალური აქტივი არის გრძელვადიანი. მასში განივთებულია მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი, ანუ მისი გამოყენებით საწარმო ღებულობს შემოსავალს, რის გამოც იგი უნდა ჩაერთოს დანახარჯებში ამორტიზაციის სახით, მისი ამორ-

ტიზაციის თანხა უნდა განისაზღვროს ფორმულით, თავდაპირველ ღირებულებას მინუს სალიკვიდაციო ხარჯები და შეფარდებული მომსახურების ვადაზე. ზოგიერთი აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის მომსახურების ვადა არ არის დაკონკრეტებული, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს.

ამორტიზებულ აქტივებზე შეიძლება აღრიცხვა მოხდეს აგრეთვე სხვადასხვა მეთოდით. ესენია: წრფივი, შემცირებული და ნაშთის მეთოდით. ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საიმედოდ არის განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლის მოხმარება დროში. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მოხმარება დროში საიმედოდ ვერ განისაზღვრება, სასურველია გამოყენებულ იქნეს ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი.

როგორც ვიცით, ამორტიზაციის მორიგი დარიცხვით მცირდება აქტივების ღირებულება და ნარჩენი ღირებულებიდან საწარმოები იხდიან ქონების გადასახადს. აქედან გამომდინარე, ჩვენს საწარმოებს არ აქვთ ის ფუფუნება, რომ მათ თვითონ აირჩიონ ამორტიზაციის დარიცხვის მათთვის სასურველი მეთოდი, რაც უზრუნველყოფს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ამორტიზაციის ნორმებს ჩვენს ქვეყანაში არეგულირებს საგადასახადო კოდექსი.

არამატერიალური აქტივები სიძველის გამო, თუ ვერ მოასწრო ამორტიზირება, შეიძლება ჩამოინეროს, გაიცვალოს, გაიყიდოს, რომლის დროსაც უნდა ჩატარდეს ტესტირება აქტივის გაუფასურებაზე და ზარალის ანაზღაურება.

მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია იჯარის აღრიცხვა, რომლის დროსაც ხდება მეიჯარის მიერ შემოსვლის მიღების მიზნით აქტივის გადაცემა მოიჯარეზე გარკვეული სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ და ოპერაციულ იჯარად.

რისკის ქვეშ იგულისხმება აქტივების გამოუყენებლობის ან მორალური ცვეთის გამო ზარალის მიღების შესაძლებლობა. ეკონომიკური სარგებელი გულისხმობს აქტივების გამოყენებას მომგებიან

საქმიანობაში, აგრეთვე აქტივების გაძვირებისა და მათი რეალიზაციის შემთხვევაში.

საიჯარო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს იჯარის დაწყება-დამთავრების ვადებს, აქტივების ფასებს და მის მოსალოდნელ ცვლილებებს, სასარგებლო მომსახურების ვადას, მინიმალურ საიჯარო გადასახადებს, მიმდინარე დისკონტირებულ ღირებულებას და რეალურ ღირებულებას.

ფულის დროითი ღირებულება დამოკიდებულია მის მიერ მოტანილ შემოსავალზე, რომელსაც ეწოდება საპროცენტო განაკვეთი ან მოგების განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთის სიდიდე დამოკიდებულია ფულის დაბანდების ინვესტირების რისკის დონეზე. რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს, მოგების ნორმას ითხოვს ინვესტორი.

ინვესტიცია კაპიტალის დაბანდება ეკონომიკურ საქმიანობაში, მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. იგი უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება ფულით (ფინანსური ინვესტიცია) - მატერიალური სამეურნეო საშუალებები, მიწა, თეზაურვაცია (ოქროს დამუშავება-შენახვა განძის სახით).

ინვესტიციის სწორი ბუღალტრული აღრიცხვა დამოკიდებულია ინვესტიციების შინაარსზე, კლასიფიკაციაზე და მისი შეფასება-გადაფასების სწორ განხორციელებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი აქტივების შემოსავლების გასაზრდელად (პროცენტი, როიალტი, დივიდენდი და საიჯარო ქირა), საკუთარი კაპიტალის გასადიდებლად. ინვესტიციის ჩამდები საწარმოსთვის ინვესტიცია შეიძლება იყოს მოკლევადიანი, გრძელვადიანი. ინვესტიციების შემადგენლობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ფასიან ქაღალდებს, რომლის გამოშვებაც ქონების ერთ-ერთი ყველაზე ლიკვიდური ნაწილია, რადგან მათ უნარი აქვთ საკმაოდ იცვალონ სახე არა მხოლოდ ნივთობრივ-მატერიალურ, არამედ ფულად ფორმაშიც.

ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: აქციები, ობლიგაციები, შემნახველი და სადეპოზიტო სერთიფიკატები, ოფციონები, ფიუჩერ-

სები, ვაუჩერული კონტრაქტები, სახაზინო ვალდებულებები და ა.შ..

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეიძლება გამოვიდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები, აგრეთვე საზღვარგარეთის სახელმწიფოები და მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული პირები. ინვესტიციის მოცულობიდან გამომდინარე, ინვესტორი იძენს ინვესტირებული საწარმოს კონტროლის უფლებებს, საწარმოზე ზეგავლენის განხორციელების სახით. ინვესტორი ყოველთვის დგას სერიოზული რისკის წინაშე, რადგან არ არსებობს არცერთი ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ერთდროულად გააჩნდეს ინვესტიციის ყველა თვისება-უსაფრთხოება, შემოსავლების სტაბილურობა, დაბანდების ზრდა და ლიკვიდურობა. ინვესტიცია შეიძლება იყოს დაბალშემოსავლიანი, მაგრამ საიმედო. ინვესტიციების თვისებების შეთანხმება მიიღწევა მათი დივერსიფიკაციის გზით, რაც გულისხმობს კაპიტალის გადანაწილებას სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების პორტფელში.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ინვესტიციების აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმაში გამოყოფილია შემდეგი ანგარიშები: №1310 — „მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში“; №1320 — „მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში“; №1330 — „გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი“; №1390 — „სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები“ და ა.შ..

ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვის დროს მნიშვნელოვანია მათი შეფასების მეთოდების სწორი შერჩევა, რაც გარკვეულწილად დამოკიდებულია ინვესტიციის ტიპზე, ინვესტორის მიერ მოპოვებული უფლების დონეზე, ინვესტიციის მიზანზე და ა.შ..

ინვესტიციები, რომლებიც კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად, ბალანსში ასახული უნდა იყოს საბაზრო ღირებულების ან ინვესტიციის თვითღირებულებით.

ინვესტიციის საბაზრო ღირებულება არის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელია მოცემული ინვესტიციის აქტიურ ბაზარზე გაყიდვით.

ინვესტიციების თვითღირებულება არის თანხა, რომელიც სა-

ბაზრო ღირებულების შეძენის თარიღიდან ემატება მის განთავსებაზე განეულ ოპერაციებზე განეული დანახარჯები: ბროკერის გასამრჯელო საკომისიო ბანკის მომსახურებაზე, ჰონორარის, ბაჟი და ა.შ.. ინვესტიციების თვითღირებულებაზე მოქმედებს აგრეთვე შემდეგი ფაქტორები: ფასიანი ქაღალდების რეალური და ნომინალური ღირებულება, თუ შესაძლებელია აქტივების გაცვლით, აქტივების რეალური ღირებულება, ფასიანი ქაღალდების შეძენისა და გამოსყიდვის ღირებულება და სხვა უამრავი ფაქტორი. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება უნდა განისაზღვროს: ინდივიდუალურად თითოეული მუხლის მიხედვით, კატეგორიების მიხედვით და მთლიანი პორტფელის საერთო თანხით.

ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, ბიზნეს-გეგმიდან გამომდინარე სანარმოს უნდა გააჩნდეს სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რამაც უნდა უზრუნველყოს ტექნოლოგიური ციკლის განხორციელება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა სანარმოს შეიძლება, ერთი მხრივ, ჰქონდეს სანარმოო მარაგის სახით ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა არის მატერიალური აქტივი და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლების მისაღებად. გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა მოიცავს იმ შეძენილ საქონელს, რომელიც იხმარება ხელმეორედ გაყიდვის მიზნით, განსაკუთრებით აღნიშნული ეხება საცალო ვაჭრობის ქსელში შეძენილ საქონელს. გამომდინარე აქედან, სასაქონლო-მატერიალური საშუალებები შეიძლება დაეყოს სასაქონლო მარაგად და სანარმოო მარაგად.

სასაქონლო მარაგს მიეკუთვნება ყველა მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივი, რომელიც შეძენილია შემდგომი გაყიდვისათვის ფიზიკური ფორმის არსებითი ცვლილების გარეშე. მაგრამ, ზოგჯერ, მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეიძლება მოხდეს საქონლის დაკომპლექტება. სასაქონლო მარაგი შეიძლება იმყოფებოდეს სავაჭრო დარბაზში, სანყობში, გზაში, რომელიც სანარმოს საკუთრებაა და მიეკუთვნება საბრუნავ საშუალებებს და იგი უახლოეს მომავალში უნდა გარდაიქმნას ფულად საშუალებად.

მასალები წარმოადგენს მზა პროდუქციის ნივთიერ საფუძველს, რომელიც წარმოების პროცესში ერთჯერადად მოიხმარება. მასალები მისი გამოყენების წესისა და დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება: ნედლეული და ძირითადი მასალები, ნაყიდი, ნახევარფაბრიკატები, დამხმარე მასალები, სათბობი, სათადარიგო ნაწილები, ტარა, ნარჩენები.

დაუმთავრებელი წარმოება ისეთი მატერიალური ფასეულობაა, რომელსაც გარკვეული მომენტისათვის არ აქვს გავლილი ტექნოლოგიური ციკლით გათვალისწინებული ყველა სტადია და არ არის მიღებული ტექნიკური კონტროლის ან შემკვეთის მიერ.

მზა პროდუქცია ისეთი ფასეულობაა, რომელმაც გაიარა ტექნოლოგიური ციკლით გათვალისწინებული ყველა სტადია და აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიღებული ტექნიკური კონტროლის მიერ და გამზადებულია სარეალიზაციოდ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფასდება- შეძენის ღირებულებას დამატებული სატრანსპორტო ხარჯები და გადასახადები, უკან დაბრუნებული დღგ-ს გამოკლებით. თუ მარაგი იმპორტის გზითა შეძენილი, მაშინ შეძენის ღირებულებაში შეიტანება საბაჟო გადასახადი და განბაჟებისათვის დაკავშირებული სხვა ხარჯები.

საწარმოები სამენარმოო საქმიანობის განხორციელების დროს ამყარებენ საგარეო ურთიერთობებს სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და პირებთან. განსაკუთრებით მომარაგების და რეალიზაციის პროცესების განხორციელების დროს ნებისმიერი საგარეო ურთიერთობები ფორმდება კონტრაქტით, რომელშიც გათვალისწინებულია პროდუქციის მიწოდება, გასანევი მომსახურება, ნედლეულით მომარაგება და ა.შ. რაც, თავის მხრივ, წარმოშობს საანგარიშსწორებო ურთიერთობებს, ალებ-მიცემობას, რომელიც განსაკუთრებულ ხასიათს იღებს კრედიტის მიღების ან გაცემის დროს, საქონლის ნისიად გაყიდვის, მუშაკთა დაქირავების, ჩვეულებისამებრ გადასახადების დეკლარირების და სხვა სამეურნეო პროცესების განხორციელების დროს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ეკუთვნის თანხები, წარმოიშვება მოთხოვნები და

თუ საწარმოდან მუშა-მოსამსახურეებს ეკუთვნით ხელფასი, საგადასახადო ვალდებულებები, ბანკის კრედიტი და ა.შ., წარმოიშვება როგორც მოთხოვნები, ასევე ვალდებულებები. შეიძლება იყოს მიმდინარე ერთი საანგარიშო პერიოდის მიხედვით მოკლევადიანი და თუ ერთ საანგარიშო პერიოდზე მეტ ხანს გრძელდება, მისი დაფარვის ვადა, მაშინ იგი არის გრძელვადიანი მოთხოვნა ან ვალდებულება.

ფულადი სახსრების აღრიცხვის ძირითადი მიზანია მათი მოძრაობის სწორი და დროული ასახვა სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, სალაროში ნაღდი ფულის ოპერაციული კონტროლი სალაროს ლიმიტის დაცვა. ფულადი სახსრების მიზნობრივი დანიშნულების გამოყენების კონტროლი ბანკის ამონაწერების და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობაში მოყვანა. ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების შეფასება და აღიარება. ბანკის ოვერდრაფტი გამოირიცხება ფულადი სახსრების შემადგენლობიდან და აისახება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დროს წარმოიშვება მოთხოვნები გარკვეული რაოდენობის ნაღდ ფულზე, რომლის მიხედვით უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორება ან პირიქით. რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი მოთხოვნები უნდა დაიფაროს ოპერატიულად, ნაღდი ფულის საშუალებით. სალაროს მეურნეობას ახორციელებს და აკონტროლებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო სალაროს ოპერაციებს ასრულებს მოლარე-ოპერატორი სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერების საშუალებით, რომლებიც მისთვის განკარგულებით დოკუმენტს წარმოადგენს.

მოლარის მიერ განხორციელებული სალაროს ოპერაციები რეგისტრირდება სალაროს წიგნში. ანგარიშთა გეგმის მიხედვით „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ №1110 ანგარიშზე აღირიცხება, ხოლო „ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში“ №1120 ანგარიშზე.

ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება ძირითადად ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ბანკების მეშვეობით. უნაღდო ანგარიშსწორების დროს შეიძლება გამოვიყენოთ საგადასახადო დავალება, აკრედიტივი, ჩეკი, საკასო დავა-

ლება. საგადასახადო დავალება წარმოადგენს ბანკში ანგარიშის მფლობელის წერილობით განკარგულებას ფულადი სახსრების გადარიცხაზე. აკრედიტივი გამოიყენება მომწოდებლებთან ანგარიშსწორების დაჩქარების მიზნით. ჩეკებით ანგარიშსწორება ხდება დაჯავშნული თანხების უპირობო გადახდის ან ნაღდი ფულის გამოტანის შემთხვევაში.

საინკასო დავალებით ხორციელდება დადგენილ ვადებში გადაუხდეელი გადასახადების და გადასახდელების უდავო წესით გადახდეულობისათვის, რომლიც შეიძლება მოხდეს სასამართლოს ან შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბიზნესის დაწყებას ესაჭიროება შესაბამისი აქტივები, რომლიც შეიძლება იყოს ფულადი ან არაფულადი ფორმით, მენარმის რეგისტრაციის პირველ დღეს, რის საფუძველზეც ფუძნდება ესა თუ ის საწარმო. არსებული კაპიტალის აქტივებს ზოგადად წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი, ანდა საწარმოს ყველა ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ დარჩენილი აქტივების ნაწილი არის საკუთარ კაპიტალი.

საკუთარი კაპიტალი წარმოების პროცესში შეიძლება გაიზარდოს ავანსირებული კაპიტალით, აქციების გამოშვებით და რეალიზაციით, საემისიო კაპიტალით, რეინვესტირებული კაპიტალით, მატერიალური ფასეულობის მოგებით, მოგებიდან შექმნილი რეზერვებით, მატერიალური ფასეულობის გადაფასების რეზერვით ფასისმატების დროს და ა.შ..

კაპიტალის ერთ-ერთ ფორმაა აქციონერული კაპიტალი, რომელსაც გააჩნია მფლობელთა დიდი რიცხვი აქციონერების სახით. სააქციო საზოგადოება წარმოადგენს შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის საზოგადოებას. იგი პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე, მთელი თავისი ქონებით. კორპორაციის მფლობელებს ეწოდებათ აქციონერები. მათი ერთ-ერთი მოვალეობაა გადაიხადონ თანხა აქციების მისაღებად, რის საფუძველზეც ისინი იღებენ დივიდენდებს. აქციონერთა კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც განაგებს კორპორაციის საფინანსო-სამეურნეო პოლიტიკას, ხოლო ამ პოლიტიკის განსახორციელებლად

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორთა საბჭოს. სამეურნეო-საფინანსო პოლიტიკის აღსასრულებლად კორპორაცია საკუთარ კაპიტალს ზრდის აქციების ემისიით. მისი სანესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იგივე ღირებულების მქონე აქციებად. აქცია წარმოადგენს საბუთს, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის მიმართ და აქციონერის უფლებას კაპიტალზე.

ამრიგად, მმართველობითი აღრიცხვის ძირითადი პრინციპი და ამოცანაა მმართველი აპარატის ინფორმაციით უზრუნველყოფა წარმოების რეგისტრაციის პირველი დღიდან მის ლიკვიდაციამდე. მენეჯერულ აღრიცხვაში საწარმოს მატერიალური და არამატერიალური აქტივების, საწარმოო პროცესების მართვა-კონტროლს, თვითღირებულების გაანგარიშებას, ზედნადები ხარჯების გადანაწილებას, ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემუშავებას, რეალიზაციის პროცესების, მიღებული ფინანსური შედეგების, მოგების განაწილების ან ზარალის დაფარვის, კაპიტალის ფორმირების, ინვესტიციებისა და რეინვესტირების დონის ამაღლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭერია და დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის განვითარებასა და წინსვლაში.

მმართველობითი აღრიცხვა უზრუნველყოფს მმართველ აპარატს ჩამოთვლილი პროცესების შესახებ ინფორმაციით, როგორც ნატურალური, ასევე ფულად საზომი ერთეულებით, როგორც ანალიზურად, ასევე სინთეზურად გაერთიანებული მაჩვენებლებით.